

## ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობა
2. საქმიანობის შედეგები
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
4. ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ეკო ს/კ 412722148

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

|                                        | 2020          | 2019          |
|----------------------------------------|---------------|---------------|
| <b>აქტივები</b>                        |               |               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები            | 47875         | 45582         |
| სავაჭრო მოთხოვნები                     | 8722          | 6926          |
| გადახდილი ავანსები                     | 2147          | 1729          |
| მარაგები                               | 191334        | 184784        |
| <b>ძირითადი საშუალებები</b>            |               |               |
| ნაგებობები                             | 4848          | 5146          |
| ოფისის აღჭურვილობა                     | 2723          | 3878          |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი ოფისისათვის    | 44405         | 52691         |
| სულ აქტივები                           | <b>302054</b> | <b>300736</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                   |               |               |
| სავაჭრო ვალდებულებები                  | 301535        | 262776        |
| ვალდებულება თანამშრომლების მიმართ      | 0             | 0             |
| საგადასახადო ვალდებულება               | 0             | 9540          |
| სხვა ვალდებულება                       | 8739          |               |
| სულ ვალდებულება                        | <b>310274</b> | <b>272316</b> |
| <b>საკუთარიკაპიტალი</b>                |               |               |
| გაუნაწილებელი მოგება ზარალი            | -8220         | 28420         |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | <b>302054</b> | <b>300736</b> |

დირექტორი: გიორგი ორმოცაძე

მთ. ბუღალტერი: მანანა უგლავა



## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება


შპს ეკო ს/კ 412722148

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

|                                                    | 2020            | 2019            |
|----------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                              | <b>2869416</b>  | <b>2822484</b>  |
| საქონლის გაყიდვებიდან                              | 2850881         | 2786760         |
| მომსახურების გაწევიდან                             | 18535           | 34226           |
| სხვა                                               | -               | 1498            |
|                                                    | <b>-2348486</b> | <b>-2330539</b> |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>       |                 |                 |
| საწყისი მარაგები                                   | -184784         | -198431         |
| მარაგების შესყიდვა                                 | -2355036        | -2316892        |
| საბოლოო მარაგები                                   | 191334          | 184784          |
|                                                    |                 |                 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                           | -133935         | -116468         |
| ვვეთა ამორტიზაცია                                  | -9738           | -9738           |
| იჯარის ხარჯი                                       | -24000          | -24000          |
| კომუნალური ხარჯი                                   | -39058          | -43436          |
| სხვა ხარჯი                                         | -21282          | -14565          |
| <b>ადმინისტრაციის და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ</b> | <b>-228013</b>  | <b>-208207</b>  |
|                                                    |                 |                 |
| საოპერაციომოგება                                   | <b>292917</b>   | <b>283738</b>   |
| არასაოპერაციომოსავალი/ხარჯი                        | <b>14857</b>    |                 |
|                                                    |                 |                 |
| <b>მოგება ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე</b>  | <b>307774</b>   | <b>283738</b>   |
| მოგების გადასახადი                                 | -46166          | -42561          |
| <b>მოგება(ზარალი)</b>                              | <b>261608</b>   | <b>241177</b>   |

დირექტორი: გიორგი ორმოცაძე

მთ. ბუღალტერი: მანანა უგლავა



# ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შპს ეკო ს/კ 412722148

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

| (პირდაპირი მეთოდი)                                                               | 2020           | 2019           |
|----------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>                                  |                |                |
| კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                           | 33779223       | 3322458        |
| მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები                         | -2926870       | -2850044       |
| <i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</i>                                 | <b>451053</b>  | <b>472414</b>  |
| გადახდილი გადასახადები                                                           | -165360        | -177063        |
| <i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>                           | <b>285693</b>  | <b>295351</b>  |
| <i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>                                |                |                |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                     | 0              | -400           |
| მიღებული პროცენტები                                                              |                |                |
| <i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>                         | <b>0</b>       | <b>-400</b>    |
| <i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>                                   |                |                |
| გადახდილი დივიდენტი                                                              | -283400        | -287300        |
| <i>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>                            | <b>-283400</b> | <b>-287300</b> |
| <i>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის</i> | <b>45582</b>   | <b>37931</b>   |
| <i>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლის</i>           | <b>47875</b>   | <b>45582</b>   |

დირექტორი: გიორგი ორმოცაძე

მთ. ბუღალტერი: მანანა უგლავა



## საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს ეკო ს/კ 412722148

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

|                                                  | 2020    | 2019    |
|--------------------------------------------------|---------|---------|
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 28420   | 89737   |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება                     |         |         |
| განაწილებამ შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენტი)   | -298316 | -302422 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში            | 261676  | 241177  |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                        |         | -72     |
| კაპიტალის ანგარიშგებო პერიოდის ბოლოს             | -8220   | 28420   |
|                                                  |         |         |

დირექტორი: გიორგი ორმოცაძე

მთ. ბუღალტერი: მანანა უგლავა



# ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შპს ეკო ს/კ 412722148

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

შპს „ეკო“ ს/კ 412722148 რეგისტრირებულია ქ. ქუთაისის საჯარო რეესტრში 08/11/2016წ იურიდიული მისამართი: საქართველო ქ. ქუთაისი დ. აღმაშენებლის გამზ. 7, ბ. 32 ფაქტიური მისამართი: საქართველო ქ. ქუთაისი ფალიაშვილის ქ. N37. მესაკუთრე - პ/ნ 60001136086, გიორგი ორმოცაძე, დირექტორი - პ/ნ 60001136086, გიორგი ორმოცაძე, ელ. ფოსტა: [ecomart2017@gmail.com](mailto:ecomart2017@gmail.com) სსკ-ს 158 მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით რეგისტრირებულია დღ-ს გადამხდელად 14/11/2016 წლიდან.

შპს „ეკო“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიაში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით, მას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები, მაღაზია განთავსებულია ფაქტიურ მისამართზე ქ. ქუთაისი ფალიაშვილის ქ. N37, მუშაობის რეჟიმი დღიურად 24 სთ. მაღაზიის ფართი 300 კვ. მ. მიღებულია ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მალი“-გან ს/კ 412712200, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 892018130006. შპს „ეკო“-ს ანგარიშები გახსნილი აქვს: ს.ს „თიბისი ბანკი“ ს.ს „საქართველოს ბანკი“ ს.ს „პროკრედიტ ბანკი“-ში.

შპს „ეკო“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მს ფას“), ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მომზადებულია შესაძარისი იმფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, მიუხედავად ქვეყანაში 2020 წლის თებერვლიდან დაწყებული კორონავირუსის (COVID-19) ეპიდსიტუაციისა, რომლის შედეგად კომენდანტის საათის პერიოდში მარკეტი ნაცვლად 24 საათიანი სამუშაო რეჟიმისა მუშაობდა 12 სთ. (შესაბამისად დაქირავებული მომსახურე პერსონალი შემცირდა) ზოგადად მარკეტის ფუნქციონირებას საფრთხე არ შექმნია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში „ლარი“ ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე (ანგარიშსწორების ანგარიშებზე და საბანკო ტერმინალებზე).


რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება როგორც ნაღდი ასევე საკრედიტო პირობების საფუძველზე, და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივები აღირიცხება მათი შეძენისას გადახდილი ფულის ოდენობით.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით(და დაგროვილი გაუფასურების ზარალით) შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯს, აქტივების მიმდინარე რემონტი ან შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სტატიის სახარვეზო მომსახურების ვადები: ნაგებობები-20წ. ოფისის აღჭურვილობა-7წ. ავეჯი და სხვა ინვენტარი-5-10 წ.

ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის ოდენობით, რაც ვალდებულების სანაცვლოდაა მიღებული.



ხელფასის ხარჯი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც იქნა დასაქმებულის მიერ სამუშაო შესრულებული.

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე გადასახადებისაგან, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ გადახდილი გადასახადი აღიარებულია როგორც საგადასახადო აქტივი.

მიმდინარე საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები აღიარებულია შესაბამის პერიოდზე შემოსავლების პროპორციულად გონივრული განაწილების საფუძველზე.

შემოსავლების აღიარება ხდება მყიდველზე აქტივის გადაცემისას ან მომსახურების გაწევისას, დარიცხვის მეთოდით (როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მიღებული იქნება წინასწარ შეთანხმებული სარგებელი).

სხვა შემოსავლად აღიარდა პანდემიასთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადზე დროებითი შეღავათი და უსასყიდლოდ მოწოდებული საქონლის ღირებულება.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები (არსებობის შემთხვევაში) რომელიც დამატებით იმფორმაციას იძლევა ფინანსურ მდგომარეობაზე და არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართილ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები ორგანიზაციარ არ გააჩნია (ფინანსურ ანგარიშგებაში ის არ აისახება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა და ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

დირექტორი: გიორგი ორმოცაძე

მთ. ბუღალტერი: მანანა უგლავა

